პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 9 (4003) 14 1970 წ. იანვარი. ოთხშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




ეროვნული ბიბლიოთეკა

# საფეხბურთო სამყაროს გამოძახილი

მეხიკო, 12 იანვარი. მექსიკის ფეხბურთის მესვეურები და გულშემატკივრები კმაყოფილი არიან კენჭისყრის შედეგებით. „მექსიკა კარგ ჯგუფში მოხვდა — განუცხადა პრესის წარმომადგენლებს ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გ. კანიედომ. — მე მიმაჩნია, რომ მეოთხედფინალში უსათუოდ გავალთ. დარწმუნებული ვარ, სსრ კავშირის ნაკრები ჩვენი ყველაზე ძლიერი მეტოქე იქნება".

როცა ცნობილი გახდა ოთხი ჯგუფის წევრთა ვინაობა, მექსიკელებს თითქოს მომავალ გამარჯვებათა ვირუსი შეეყარათ. „ჩვენ მეოთხედფინალში გავალთ", — ერთხმად განაცხადეს გუნდის მოთამაშეებმა. გუნდის მწვრთნელმა რ. კარდენასმაც თქვა, რომ ჯგუფი ძალიან მოსწონს. „ჩვენ ვიცით, როგორ ფეხბურთს თამაშობენ რუსები, — შენიშნა მან შემდეგ, — ვიცით, რა შეუძლიათ მათ მოთამაშეებს. არა მგონია, რომ რუსული ფეხბურთი ჩემპიონატისთვის ძალიან შეიცვალოს".

მექსიკელთა მწვრთნელმა გულშემატკივრები დაარწმუნა, რომ მზადაა მთელი მსოფლიო შემოიაროს, რათა კიდევ უფრო ახლოს გაეცნოს მექსიკის ნაკრების მომავალ მეტოქეთა თამაშს. კერძოდ, კარდენასი ეწვევა ცენტრალურ ამერიკას, სადაც საბჭოთა ფეხბურთელები ტურნეს აწყობენ. „მე დავაკვირდები ბელგიისა და სალვადორის გუნდების თამაშსაც, რადგან არ მინდა რაიმე შეცდომა დავუშვა ჩვენი ნაკრების მომზადებაში", — დასძინა კარდენასმა.

გაზეთი „დია" აქვეყნებს მწვრთნელების, გულშემატკივრების, საერთაშორისო ფეხბურთის ცნობილი მოღვაწეების გამოძახილს, შეხედულებებსა და პროგნოზებს, რომლებიც ამ გაზეთის კორესპონდენტებმა კენჭისყრის შემდეგ მიიღეს. დიდი უმეტესობა იმ აზრისაა, რომ კენჭისყრა წარმატებით ჩატარდა და მონაწილენი დააკმაყოფილა. მექსიკაში მიაჩნიათ, რომ ძალთა ასეთი განაწილება ფეხბურთს ინტერესს მატებს.

ბრაზილიის ნაკრები გუნდის მწვრთნელმა ჟ. სალდანიამ გაზეთ „დიას" კორესპონდენტს უთხრა: „მე ოპტიმისტურად შევყურებ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატს. მიმაჩნია, რომ სულ ერთია, ვისთან მოგიწევს თამაში ჯგუფში, მეოთხედფინალურ და ნახევარფინალურ შეხვედრებში. ოქროს ქალღმერთის მოპოვებისთვის ყველა მეტოქე უნდა დაამარცხო... ჩვენი გუნდი მეხიკოში ასპარეზობის დაწყებამდე ორი თვით ადრე ჩავა, მაგრამ არა იმიტომ, რომ მექსიკურ სიმაღლეს შეეჩვიოს. ჩვენთვის სიმაღლის პრობლემა არ არსებობს. ეს გადაწყვეტილება ეკონომიური მოსაზრებითაა გამოწვეული. ბრაზილიაში საწვრთნელი შეკრების მოწყობა ძალიან ძვირი ჯდება, აქ კი მომგებიან ხელშეკრულებებს დავდებთ".

გაზეთი „დია" აქვეყნებს სხვების შეხედულებებსაც. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი დ. ფოლოუზი: „ჩემი ქვეყნის გუნდს ძალიან იღბლიანი ჯგუფი შეხვდა. მოგაგონებთ, რომ ყველა ჩემპიონატში სწორედ მესამე ჯგუფის წარმომადგენლები იმარჯვებდნენ". იტალიის ფეხბურთის პრეზიდენტი ა. ფრანკი: „კენჭისყრით კმაყოფილი ვართ, მაგრამ ჩვენმა ნაკრებმა არ უნდა დაივიწყოს მარცხი, რომელიც ინგლისის ჩემპიონატში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან იწვნია. ამ გუნდს მაშინ სუსტად თვლიდნენ, მაგრამ დაგვამარცხა". სალვადორის დელეგატი მ. ბერეი: „კენჭისყრის შედეგების თაობაზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მინდა მოგაგონოთ, რომ 1964 წელს მექსიკელები სწორედ ჩვენს გუნდთან დამარცხდნენ". მაროკოს წარმომადგენელი ა. ანტიფიტი: „ჩვენ საინტერესო ჯგუფში მოვხვდით. ვფიქრობ, რომ სწორედ ამ გუნდებთან მეტი შანსი გვაქვს გამარჯვებისა".

— მონიკა მარიას — მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის კანიედოს ათი წლის გოგონას ვერ დავემდურებით. მან, ჩემი აზრით, ჩვენთვის კარგი კენჭი ამოიღო, — განაცხადა სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გ. კაჩალინმა. — მაგრამ ჩვენს ჯგუფს სუსტს ვერ უწოდებ. უკვე პირველი მატჩი მექსიკელებთან მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის დღეს, 31 მაისს, ძალიან ძნელი იქნება. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ბოლო სამ მსოფლიო ჩემპიონატში პრიზიორები სწორედ მინდვრის მასპინძლები — შვედები, ჩილიელები და ინგლისელები იყვნენ.

მექსიკელები საბჭოთა ფეხბურთელების ძველი ნაცნობები არიან, ჩვენი შეხვედრები მათთან მუდამ საინტერესო და მწვავე იყო. ძალიან ძლიერ მეტოქედ მიმაჩნია ბელგიის ნაკრებიც. სწორედ ბელგიელებმა გამოსთიშეს შესარჩევ თამაშებში ბრძოლას ევროპული ფეხბურთის ისეთი ძლიერი წარმომადგენლები, როგორიც იუგოსლავიისა და ესპანეთის გუნდები არიან. რაც შეეხება სალვადორის ნაკრებს, ჩვენთვის იგი გამოცანაა. მხოლოდ ის ვიცით, რომ სალვადორელები სამხრეთამერიკული სკოლის მოწაფეები არიან, ეს კი თავისთავად უკვე დიდი ატესტაცია გახლავთ.

მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში გასვლაზე რეალურ პრეტენზიას, სულ ცოტა, 12 გუნდი აცხადებს. და მე ვფიქრობ, სიურპრიზები იქნება, როგორიც იყო, მაგალითად, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდის სენსაციური გამოსვლა.

— ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მეტოქე, ჩემი აზრით, — განაგრძო კაჩალინმა, — სიმაღლე იქნება. მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლები შინ, თავის მშობლიურ სტიქიაში თამაშობენ, ჩვენ კი როგორ მოვახერხოთ აკლიმატიზირება? რეცეპტი ბევრია, მაგრამ ერთი ავირჩიეთ: 20 იანვარს იუგოსლავიაში, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მივემგზავრებით. იქ დავრჩებით თვის ბოლომდე და სამ მატჩს გავმართავთ ადგილობრივ ფეხბურთელებთან. შემდეგ, ალბათ, სამხრეთ ამერიკაში გავფრინდებით. ჩვენი ახალგაზრდა მოთამაშეები უნდა გაეცნონ მაღალმთიანეთს, იქაურ გარემოს, იგრძნონ ჩემპიონატის რიტმი. რასაკვირველია, მეხიკოშიც შევივლით. თუ შესაძლებლობა მოგვეცა, „აცტეკის" სტადიონზე ვითამაშებთ. მარტის მეორე და აპრილის პირველ ნახევარს სსრ კავშირის ნაკრების მოთამაშეები მშობლიურ კლუბებში გაატარებენ, ქვეყნის ჩემპიონატში 6-7 მატჩს ითამაშებენ.

აი, რას ამბობს ინგლისის გუნდის მწვრთნელი ა. რამსეი: „მე მიმაჩნია, რომ კენჭისყრა ბრწყინვალედ ჩატარდა. დიახ, ჩვენი ჯგუფი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია. მაგრამ, თუ ძლიერ მეტოქეებთან თამაში გვიწევს, სჯობს ჯგუფურ ტურნირში ვაჯობოთ მათ და ჟიულ რიმეს თასისთვის ბრძოლის შესაძლებლობა წავართვათ. ჩვენ 6 მატჩი უნდა ჩავატაროთ სხვის მინდვრებზე, რათა ჩემპიონის წოდება შევინარჩუნოთ. რაოდენ რთულიც უნდა იყოს ეს ამოცანა, ვეცდებით ღირსეულად შევასრულოთ იგი".

## ჩვენს მზიურ რესპუბლიკაში

### ქარხნის სპორტის სასახლე

სახელმწიფო კომისიამ მშენებლებისგან ჩაიბარა სვერდლოვსკის ტურბოძრავის ქარხნის სპორტის სასახლე. უნდა ითქვას, რომ ფიზკულტურა და სპორტი საწარმოს მუშა-მოსამსახურეებში უაღრესად პოპულარულია. ქარხნის ფეხბურთელებმა შარშან ქალაქის თასი მოიგეს. შაიბიანი ჰოკეის გუნდი ქალაქის ჩემპიონი და ოლქის თასის გათამაშების ფინალისტია. ფრენბურთელ ქალთა კოლექტივმა I ადგილი დაიკავა ოლქის მანქანათმშენებელ საწარმოთა გუნდებს შორის.

სტადიონის გარდა ქარხნის სპორტსმენებს ბაზა არ ჰქონდათ. როცა საწარმო დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადავიდა, შეიქმნა სპორტული კომპლექსის მშენებლობის შესაძლებლობაც. ბაზის ასაგებად თანხა შემოსავლიდან გამოიყო. აშენებდა ქარხნის კაპიტალური მშენებლობის სამმართველო თვით მუშების აქტიური დახმარებით. სამუშაოდ ყოველდღიურად გამოდიოდნენ კომკავშირელებისა და ახალგაზრდების ბრიგადები.

ქარხნის სტადიონის გვერდით აღიმართა სამსართულიანი ლამაზი შენობა. ახალ სასახლეს აქვს 6-ბილიკიანი საცურაო აუზი ორი სახტომი კოშკით, ტანვარჯიშისა და სპორტული თამაშების ორი დარბაზი. ერთ-ერთს ტრიბუნებიც აქვს, სადაც რამდენიმე ასეული მაყურებელი ეტევა.

ახალი კომპლექსის მწყობრში ჩადგომა საწარმოს მუშა-მოსამსახურეებს საშუალებას მისცემს ფიზკულტურასა და სპორტში მთელი წლის მანძილზე იმეცადინონ. თუ ადრე ქარხანაში 7 სპორტული სექცია იყო, ახლა მათი რიცხვი 20-მდე გაიზრდება.



ლვოვის თხილამურების ექსპერიმენტული ფაბრიკა „დინამო" წელიწადში შვიდი დასახელების 180 ათას წყვილ თხილამურს უშვებს. ესაა პლასტიკური სამთო თხილამურები „კარპატი", „სლალომი", სპორტულსარბენი „სტრელა", „უკრაინა". უშვებენ თხილამურებს მოზარდებისთვისაც.

სურათზე: წუნმდებელი ოსტატი ი. ლავრინიუკი და შემფუთავი ლ. სტასიუკი აკომპლექტებენ თხილამურების ახალ პარტიას.

ფოტო ბ. კრიშტულისა (ასს-ი).

# ბრუმელი — მესამე და პირველი

მსოფლიოს სპორტულ გამოცემათა რედაქციები, სააგენტოები ყოველწლიურად აწყობენ ანკეტებს, რომელთა მიზანია დაადგინონ მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენთა ათეულები. მაგრამ ანკეტებშიც არის განსხვავება. რედაქციებისა და სააგენტოების ნაწილი სეზონის შედეგების მიხედვით ატარებს გამოკითხვას და მოყვარულთა შორის საუკეთესოთა ვინაობას ადგენს, სხვები — მოყვარულთა და პროფესიონალთა შორის. ერთი ნაწილი ეროვნული მასშტაბით იფარგლება, მეორეს საერთაშორისო მონაცემები აინტერესებს. ზოგს სულ სხვა სურვილი აქვს — დაადგინოს საუკეთესო სპორტსმენთა ათეულები ბოლო ათი წლის მანძილზე.

სწორედ ასეთი გამოკითხვა მოაწყვეს ამერიკულმა სააგენტომ „ტრეკ ენდ ფილდ ნიუზმა" და საფრანგეთის სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა".

„ტრეკ ენდ ფილდ ნიუზის" გამოკითხვის შედეგად პირველობა მიეკუთვნა 800 მეტრზე რბენაში რომის, ხოლო 800 და 1500 მეტრზე რბენაში ტოკიოს ოლიმპიადების ჩემპიონს პ. სნელს (ახალი ზელანდია). II ადგილზეა სამხტომში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ი. შმიდტი (პოლონეთი), III — სიმაღლეზე ხტომაში ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი ვ. ბრუმელი (სსრ კავშირი).

მომდევნო ადგილები მიეკუთვნათ: ბირთვის კვრაში ოლიმპიურ ჩემპიონსა და მსოფლიოს რეკორდსმენს რ. მათსონს, სიგრძეზე ხტომაში რომის ოლიმპიადის ჩემპიონს, ტოკიოსა და მეხიკოს ოლიმპიადების პრიზიორს, მსოფლიოს ექს-რეკორდსმენს რ. ბოსტონს (ორივე — აშშ), ავსტრალიელ სტაიერს რ. კლარკს, ბადროს ტყორცნაში მელბურნის, რომის, ტოკიოსა და მეხიკოს ოლიმპიადების ჩემპიონს ა. ორტერს, 200 მეტრზე რბენაში ოლიმპიურ ჩემპიონსა და მსოფლიოს რეკორდსმენს ტ. სმითს (ორივე — აშშ), უნგრელ ბადროს მტყორცნელს დ. ჟივოცკის, ამერიკელ სპრინტერს რ. ჰეიესს.

რაც შეეხება „ეკიპის" ანკეტას, აქ საუკეთესოდ აღიარეს ბრუმელი. II ადგილზეა სნელი, III — ორტერი. ათეულში შევიდნენ, აგრეთვე, ზემოთ დასახელებული სხვა სპორტსმენები, ოღონდ მათ იქ სხვა ადგილები უკავიათ.

პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს საახალწლო ანკეტაში მონაწილეობდნენ 22 სააგენტოს წარმომადგენლები, რომლებმაც 21 ქვეყნის 50 სპორტსმენი დაასახელეს. ამ ანკეტის მონაწილეთ ყველაზე პოპულარულთა ათეულში ერთად უნდა დაესახელებინათ ვაჟები, ქალები, მოყვარულები და პროფესიონალები. I ადგილზე გავიდა ბელგიელი პროფესიონალი ველოსიპედისტი ე. მერქსი.

ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს ანკეტაში მონაწილეობა მიიღეს საკდესის, ახალი ამბების სააგენტოს, ფრანს პრესის, ასოშიეიტედ პრესის, იუნაიტედ პრესის, პრენსა ლატინას, ადნ-ს, ჩტკ-ს, ტანიუგის, აჯერპრესის, პაპ-ის და სხვათა წარმომადგენლებმა, რომლებმაც სულ 46 ვაჟი და 12 ქალი დაასახელეს. პირველობა მიეკუთვნა უროს ტყორცნაში მსოფლიოს რეკორდსმენს ა. ბონდარჩუკს (სსრ კავშირი). შემდეგ მოდიან რ. ლეივერი (ავსტრალია, ჩოგბურთელი), პელე (ბრაზილია, ფეხბურთელი), ე. მერქსი, ნ. ჩიჟოვა (სსრ კავშირი, მძლეოსანი), ვ. ტუმეი (აშშ, მძლეოსანი), რ. მათესი (გდრ, მოცურავე) და სხვ.

ახლა პრენსა ლატინას ანკეტის შესახებ. მისი აღიარებით, 1969 წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეული ასე განლაგდა: მერქსი, ბონდარჩუკი, მათესი, ბ. სპასკი (სსრ კავშირი, მოჭადრაკე), ჯ. კარლოსი (აშშ, მძლეოსანი), ვ. კურენცოვი (სსრ კავშირი, ძალოსანი), ვ. პანკინი (სსრ კავშირი, მოცურავე), ვ. კინუნენი (ფინეთი, მძლეოსანი), ჯ. რივერა (იტალია, ფეხბურთელი), ჯ. პენელი (აშშ, მძლეოსანი).

გაზეთ „იუნგე ველტის" ანკეტა მხოლოდ ეროვნული მასშტაბისა იყო. მას უნდა დაესახელებინა გდრ-ის საუკეთესო სპორტსმენი და გუნდი. გამოკითხვაში მონაწილეობდნენ როგორც სპეციალისტები, ისე სპორტის მოყვარულები.

გასულ სეზონში საუკეთესო გუნდად მიიჩნიეს ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრები, რომელმაც „მეგობრობის თასი" მოიგო.

ვაჟებში პირველობა მიეკუთვნა ცურვაში ოლიმპიურ ჩემპიონსა და მსოფლიოს რეკორდსმენს, 19 წლის მათესს — 172520 ხმა. II ადგილზე გავიდა ჰიონე — 60294, III — მატუშევსკი — 45096, IV — ნორდვიგი (სამივე — მძლეოსანი) — 25156...

ქალებში ყველაზე მეტი ხმა (134541) მიიღო ევროპის ჩემპიონატის სამგზის ოქროს მედალოსანმა, 19 წლის მძლეოსანმა ფოჰტმა. შემდეგ მოდიან: ტანმოვარჯიშე იანცი (79379), ფიგურული მოციგურავე ზაიფერტი (78861), მძლეოსნები ბალცერი (53098) და გუმელი (22113)...

„სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს III პლენუმი

# მიზანი: მშრომელთა გაჯანსაღებისთვის ზრუნვა

ამას წინათ თბილისში გაიმართა „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს III პლენუმი, რომელმაც განიხილა როგორ სრულდება ამ საზოგადოების ორგანიზაციებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს VII მოწვევის V სესიის დადგენილება „რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. როზაქიძე. მან აღნიშნა, რომ „სპარტაკის" ორგანიზაციებში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა სესიის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისთვის, რამაც კიდევ უფრო აამაღლა ფიზკულტურული კოლექტივების შრომისუნარიანობა, გამრავლდა გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა რიცხვი, განმტკიცდა გუნდები. „სპარტაკის" 1466 ფიზკულტურულ კოლექტივში, რომლებიც 11 სხვადასხვა დარგობრივი პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტებს ეკუთვნით, ფიზკულტურელთა რიცხვი 188415 კაცამდე გაიზარდა, რაც მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 53,6 პროცენტს შეადგენს. ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოების წევრთა რიცხვმა 179 ათასს გადააჭარბა. განსაკუთრებით გაუმჯობესდა ფიზკულტურასა და სპორტში ქალთა მიზიდვა, რაც ადრე საზოგადოების ჩამორჩენილ უბნად ითვლებოდა. ახლა სპორტული საქმიანობის სხვადასხვა ფორმაში 57576 ქალია ჩაბმული.

სესიის შემდეგ გაუმჯობესდა ფიზკულტურის კოლექტივებისადმი პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების, პარტიული და სამეურნეო ორგანიზაციების დახმარება, უფრო ორგანიზებული გახდა შეჯიბრებები, ყოველივე ამან კი ხელი შეუწყო ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა-ვალდებულების ვადამდე და გადაჭარბებით განაღდებას. მოამზადა ერთი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, თუმცა ეს დაგეგმილი არ იყო. 23 სპორტის ოსტატის მაგიერ ეს ნორმატივი 28 სპარტაკელმა შეასრულა, 230 პირველთანრიგოსნის ნაცვლად მომზადდა 330, სხვა თანრიგების ნორმატივი შეასრულა 17300 ფიზკულტურელმა (გეგმა კი 13800 კაცს ითვალისწინებდა). 35 სპორტსმენმა შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი და სხვ.

განსაკუთრებით კარგად იმუშავეს თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს სპორტკლუბმა „სინათლემ", თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის სპორტკლუბმა „ისინდმა", თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის, კინოსტუდია „ქართული ფილმის", ავჭალის შუშის ქარხნის, ფოთის ჰიდრომელიორაციის, ქუთაისის კოოპერაციული და საავტომობილო, სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმების ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

მომხსენებელმა თქვა, რომ კოლექტივებში მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გაუმჯობესებას ხელი შეუწყო საოლქო, საქალაქო, რაიონულ საბჭოებს, აგრეთვე, ფიზკულტურის კოლექტივებს შორის გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა კომისიების, საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდური საბჭოების, ტურიზმის, თევზაობისა და ქალებთან მომუშავე საზოგადოებრივი სექციების საქმიანობის გარდაქმნამ.

როზაქიძის გამოსვლაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო შრომისა და სწავლის რეჟიმში საწარმოო და ჰიგიენური ტანვარჯიშის მდგომარეობას. მან თქვა, რომ „სპარტაკის" 1104 ფიზკულტურულ კოლექტივში ამ ღონისძიებებში 106 ათასზე მეტი კაცია ჩაბმული. საწარმოო ტანვარჯიში მაღალ დონეზეა აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, გორის, თელავის, მახარაძის, სამტრედიისა და ზუგდიდის ორგანიზაციებში, რომლებიც მუდამ კარგ მაჩვენებლებს აღწევენ ყოველწლიურ რესპუბლიკურ კონკურს-დათვალიერებაში.

გაიზარდა ტურისტული ჯგუფების რიცხვი. ახლა ამ სახეობას 36 ათასზე მეტი კაცი მისდევს. განსაკუთრებით გამოირჩევიან აფხაზეთის, თბილისის, ქუთაისის, თელავის, გორისა და მახარაძის ტურისტები.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს VII მოწვევის V სესიის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისთვის ბრძოლამ კიდევ უფრო აამაღლა ჯანმრთელობის სპარტაკიადების როლი. სანიმუშოდ ჩატარდა ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშა-მოსამსახურეთა სპარტაკიადა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საშუალო და უფროსი ასაკის მუშა-მოსამსახურეებთან მუშაობას. ამ მხრივ სამაგალითოა სპორტკლუბი „სინათლე". მის ბაზებზე სისტემატურად მუშაობენ საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანთა გამაჯანსაღებელი ჯგუფები, რომლებშიც ამ ორგანიზაციის თითქმის ყველა თანამშრომელია გაერთიანებული.

ორატორმა წარმატება აგიტაცია-პროპაგანდის მაღალი დონითაც ახსნა, თქვა, რომ აჭარაში, აფხაზეთში, ქუთაისში, გორში, ზესტაფონში სისტემატურად ეწყობა ლექცია-საუბრები ფიზკულტურისა და სპორტის, საწარმოო ტანვარჯიშის როლსა და მნიშვნელობაზე.

როზაქიძემ აღნიშნა, რომ „სპარტაკის" ორგანიზაციებში დანერგილია სპორტის 38 სახეობა. 227 სპორტის ოსტატი, 35 ათასზე მეტი ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი პატარა ძალა როდია, მაგრამ მათგან პროფკავშირთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში საზოგადოების ნაკრების სახელით მხოლოდ საუკეთესოები გამოვიდნენ. სპარტაკიადის 25 სახეობიდან სპარტაკელებმა სამ სახეობაში ჩემპიონობა მოიპოვეს, ექვსში — II ადგილებზე გავიდნენ, რვაში — მესამეზე. IV ადგილზე ნაკლები შედეგი მათ არც ერთ სახეობაში არ უჩვენებიათ, საერთო კომპლექსურ ჩათვლაში კი მხოლოდ „ბურევესტნიკისა" და „განთიადის" გუნდებს ჩამორჩნენ.

პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს ნაკრების ღირსებას 48 სპარტაკელი იცავდა. ზ. გობეჯიშვილმა, ს. სარხოიანმა, დ. გვანცელაძემ, ჯ. ნოზაძემ, ა. გაგულაშვილმა, ნ. ხუციშვილმა ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. საქართველოს „სპარტაკის" წარმომადგენლებმა ცენტრალური საბჭოს პირველობაზე შარშან 14 სახეობაში იასპარეზეს, — აქედან, მძლეოსნობაში, თავისუფალ ჭიდაობაში, ცურვაში, თანამედროვე ხუთჭიდში, მაგიდის ჩოგბურთში, ფარიკაობაში გუნდური საპრიზო ადგილები დაიკავეს. ზ. ბერიაშვილმა, თ. ერემაშვილმა, კ. სუთიაშვილმა, თ. გეგეშიძემ და სხვებმა თავი ისახელეს სსრ კავშირისა და მსოფლიოს პირველობისთვის გამართულ ბრძოლებში.

გასულ სეზონში კარგი სპორტული მაჩვენებლები ჰქონდათ „ისინდის", თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის, ყრუ-მუნჯთა საზოგადოების, თბილისის მე-3 ავტოსატრანსპორტო კონტორის, მთავარი ფოსტამტის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა სპორტკლუბ „სინათლის" ნაყოფიერი მუშაობა. ამ კლუბმა მესამედ დაისაკუთრა ფიზკულტურული კოლექტივების თასი ფეხბურთში. სპორტკლუბებს შორის საერთო პირველობა მოიპოვა პროფკავშირთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში, ხოლო მძლეოსნობაში, ცურვასა და სპორტულ ტანვარჯიშში (ვაჟები) საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობის უფლება მოიხვეჭა, მოიგო თბილისის პირველობა ტურისტულ მრავალჭიდში და სხვ.

მომხსენებელმა ამხილა ხარვეზები „სპარტაკის" ფიზკულტურული კოლექტივების, ნაკრები გუნდების, მწვრთნელების, სპორტსმენების საქმიანობაში. მან გააკრიტიკა უმოქმედო ორგანიზაციები: თბილისის მაკარონის ფაბრიკის, კურორტოლოგიის ინსტიტუტის, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის, წყალტუბოს საყოფაცხოვრებო სამმართველოს გაერთიანებული, წულუკიძისა და მესტიის ავტოსატრანსპორტო კონტორების, ბათუმის თამბაქოს ფაბრიკის, ცხინვალის №№ 1, 2 და 3 ავტოსატრანსპორტო კონტორების ფიზკულტურული კოლექტივები, აღნიშნა, რომ 57 საშუალო სპეციალური სასწავლებლიდან არც ერთს არა აქვს გამაჯანსაღებელი ბანაკი.

მომხსენებელმა თქვა, რომ თითქმის ყოველწლიურად ირღვევა სპორტღონისძიებათა კალენდარი. მაგალითად, პროფკავშირთა სპარტაკიადის წელს 35 შეჯიბრება უნდა გამართულიყო, მაგრამ მხოლოდ 10 ასპარეზობა ჩატარდა.

სპორტულ საქმიანობაში ჩამორჩენის მიზეზი ისაა, რომ საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების ნაწილი სათანადო შევსებას ვერ აძლევს რესპუბლიკური საბჭოს ნაკრებს.

მომხსენებელმა თქვა, რომ ჩამორჩება ბავშვთა შორის მუშაობა. „სპარტაკს" ბავშვთა არც ერთი სპორტსკოლა არა აქვს. თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, ტანვარჯიშში, კრივში, მაგიდის ჩოგბურთში, ცურვასა და ფარიკაობაში თითო-ოროლა ჯგუფით ფონს გასვლა ჭირს. არ კმარა სპორტბაზებიც. სპარტაკელთა მთელი სიმდიდრეა თბილისში „სინათლისა" და ტექნიკუმების ბაზები, სოხუმში — სპორტდარბაზი, ბათუმში — დარბაზი და ჩოგბურთის კორტები. 1967 წელს ყრუ-მუნჯთა რესპუბლიკური საზოგადოების პრეზიდიუმმა კარგი საქმე დაიწყო — საძირკველი ჩაუყარა სადემონსტრაციო დარბაზს, მაგრამ შემდეგ სპორტული კომპლექსის მშენებლობა შეაჩერეს.

დაიწყო კამათი. პირველად სიტყვა ეძლევა აფხაზეთის „სპარტაკის" საოლქო საბჭოს თავმჯდომარეს მ. დვალაძეს. იგი ლაპარაკობს ოლქის ფიზკულტურელთა მიღწევებზე და ნაკლოვანებებზე, ამბობს, რომ მუშაობის გაუმჯობესებას ბაზების სიმცირე აფერხებს. საოლქო საბჭომ აფხაზეთის პროფსაბჭოში და სხვა ზემდგომ ორგანოებში შეიტანა წინადადება სპორტული ბაზებისა და გამაჯანსაღებელ ნავებობათა მოწყობისთვის სახსრების კოოპერირების შესახებ, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

თბილისის „სპარტაკის" საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ მ. კალანდაძემ სამართლიანად გააკრიტიკა ინდივიდუალური კერვის №№ 1 და 2 ფაბრიკების, თბილწყალსადენის, სახბანკის რესპუბლიკური კონტორის, ქალაქის 1-ლი საავადმყოფოს, სასტუმრო „ივერიისა" და სხვა ორგანიზაციების დირექციები და ფიზკულტურული კოლექტივები, რომლებიც მშრომელთა შორის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესებისთვის არ ზრუნავენ.

კალანდაძემ თქვა, რომ მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი ღონისძიებებისთვის სათანადოდ ვერ იყენებენ კულტურისა და დასვენების პარკებს, კულტურის სახლებს, კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

„სპარტაკის" ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ მ. კვიციანმა აღნიშნა, რომ ქალაქის ფიზკულტურელებმა გადაჭარბებით შეასრულეს გეგმები. ქუთაისის სპარტაკელებმა 1969 წელს ორის მაგიერ 7 სპორტის ოსტატი მოამზადეს, 20 პირველთანრიგოსნის ნაცვლად კი 120 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი. მან ილაპარაკა ხელშემშლელ პირობებზეც, თქვა, რომ ქუთაისელებს წლების მანძილზე არ ჰქონდათ არავითარი სპორტბაზა. უკმარია სპორტული ჯგუფები. საქმეს კიდევ უფრო აძნელებს შტატების შემცირება ფიზკულტურის მეთოდისტთა ხარჯზე.

„სპარტაკის" აჭარის საოლქო საბჭოს სასწავლო-სპორტული განყოფილების გამგემ ა. შოუამ ილაპარაკა ოლქის ფიზკულტურელთა მიერ მოპოვებულ წარმატებებზე, მოწინავე კოლექტივების ჯამოცდილებაზე, მაგრამ არც ნაკლი დაუფარავს. მან თქვა, რომ ბევრ საწარმოს არა ჰყავს მეთოდისტი. მაგალითად დაასახელა ავტოტრანსპორტის კონტორები და დასძინა, რომ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო, გზატკეცილებისა და ავტოტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი ამ საკითხის მოგვარებით დაინტერესებული არ არიან.

შოუამ თქვა, რომ მეთოდისტების შტატების გაუქმების გამო ფიზკულტურული მუშაობა ჩაკვდა სახელმწიფო დაწესებულებების, კულტურის, მედიცინის, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების ორგანიზაციებში.

სპორტკლუბ „სინათლის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ა. მირზოევმა პლენუმს მოუთხრო ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობის გამოცდილებაზე, მიღწევებზე, პროფკავშირთა სპარტაკიადების წელს მოპოვებულ წარმატებებზე, სამმართველოს ფეხბურთელთა ბრძოლაზე სსრ კავშირის ფიზკულტურული კოლექტივების თასის მოპოვებისთვის. მან აღნიშნა, რომ სპორტკლუბში წლიდან წლამდე მეტი ყურადღება ექცევა მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, იზრდება ბაზების რიცხვი, მალე მწყობრში ჩადგება სპეციალური ტანვარჯიშული დარბაზი, რომელიც დედაქალაქში ერთ-ერთი საუკეთესო იქნება. მირზოევმა დასძინა, რომ ჯერჯერობით ჭირს ამ დარბაზის სათანადო ტანვარჯიშული ინვენტარით აღჭურვა. მან „სპარტაკის" ცენტრალურ საბჭოს ცუდი დახმარება უსაყვედურა.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ვოეიკოვი, რომელმაც ილაპარაკა ცენტრალური საბჭოს ნაკრებ გუნდებში საქართველოს სპორტსმენების ხვედრით წონაზე.

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორ ასაკობრივ ჯგუფში

აფხაზეთის დედაქალაქის ჭაბუკთა პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში სოხუმის რკინიგზელთა კულტურის სახლში ჩატარდა. ხალიჩაზე გამოვიდა უმცროსი და უფროსი ასაკის 70-ზე მეტი სპორტსმენი — „განთიადის", „დინამოს", „ლოკომოტივისა" და საბავშვო სპორტსკოლის წარმომადგენლები.

უმცროსი ასაკის მოჭიდავეთა შორის I ადგილები დაისაკუთრეს: ნ. კოპალიანმა, ე. ქარაიამ, ვ. მზარელუამ, ო. სანაიამ, ა. ხარბედიამ, თ. გვასალიამ (ყველა — საბავშვო სპორტსკოლა), ლ. კორონჩკინმა („ლოკომოტივი"), ა. მინასიანმა („დინამო"). აღსანიშნავია, რომ ამ მოჭიდავეთაგან ექვსმა პირველად შეასრულა ჭაბუკთა სათანრიგო მოთხოვნები.

უფროსი ასაკის მოსწავლეთა შორის უძლიერესნი იყვნენ: ბ. გველესიანი, ი. რიჩენკო, ს. ქსანდინიდი (სამივე — „ლოკომოტივი"), ო. გახარია („განთიადი"), გ. იურჩენკო, გ. გვიჩიანი (ორივე — „ლოკომოტივი"), ა. კუბუსი („განთიადი"), ო. ადამია (საბავშვო სპორტსკოლა).

სპეციალისტთა მოწონება დაიმსახურა გახარიასა და იურჩენკოს კარგმა ტექნიკურმა მომზადებამ.

**გ. იაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

* * *

სურათზე: გახარიასა და სიგუას შერკინების მომენტი.

ფოტო ავტორისა.

# ბილიკები კვლავ ხმიანობს

ტურიზმის მოყვარულთ თბილისური ზამთარი სეზონის დახურვის „საშუალებას არ აძლევს". ამას წინათ კვლავ ხალხმრავლობა იყო ბოტანიკური ბაღისა და ლეღვთახევის ტურისტულ ბილიკებზე. „სპარტაკის" რესპუბლიკურმა საბჭომ თბილისის ტურისტული კლუბის დახმარებით მოაწყო ორდღიანი ლაშქრობა-სემინარი „საკვირაო გასვლების" ხელმძღვანელთა მოსამზადებლად.

ლაშქრობა-სემინარის მონაწილეებს მეორე დღეს ტურისტულ მრავალჭიდში თბილისის პირველობის მონაწილენიც შეუერთდნენ. ღონისძიება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. ასპარეზობაში მონაწილეობის სურვილი დედაქალაქის საწარმოდაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების ბევრმა გუნდმა გამოთქვა, მაგრამ მსაჯთა კოლეგიამ მხოლოდ 12 რჩეულ კოლექტივს მისცა სტარტის ვიზა.

თითოეულ გუნდს (4 ვაჟი და 2 ქალი) სხვადასხვა სიძნელის 6 ეტაპი უნდა გაევლო. პროგრამაში შედიოდა რთული ბუნებრივი რელიეფის დაძლევა ზურგჩანთით, ხელყუმბარის მიზანში ტყორცნა, სიგრძეზე ხტომა და დაბრკოლებათა გადალახვა. ფინიშზე გუნდის ექვსივე მონაწილეს კარვის გაშლაში უნდა მიეღო შეფასება.

ყველას აჯობა სპორტკლუბ „სინათლის" მეორე ნაკრებმა, რომელმაც 17 წუთში „მოათავა საქმე" და 3 საჯარიმო ქულა დაიმსახურა. II ადგილი წილად ხვდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს, რომელიც გამარჯვებულს 5 წუთით ჩამორჩა და 7 საჯარიმო ქულა მიიღო. საქალაქო პირველობის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი — სამხატვრო აკადემიის გუნდი ამჯერად III ადგილს დასჯერდა — 22.05 და 7,5 საჯარიმო ქულა.

„სინათლის" ტურისტთა წარმატება შემთხვევითი არ არის. შარშან ეს გუნდი თითქმის ყველა შეჯიბრებაში მონაწილეობდა და მუდამ წარმატებით ასპარეზობდა. დასანანია, რომ შეჯიბრების პრიზიორთა შორის ვერ ვიხილეთ მ. თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის გუნდი, რომელსაც ამ სახეობაში შესანიშნავი ტრადიციები აქვს და რომლის ბევრი წარმომადგენელიც ქალაქის ნაკრების წევრია.

გუნდები პირველად გამოიყვანეს თამბაქოს № 2 ფაბრიკისა და სამტრესტის საწარმოო კომბინატის კოლექტივებმა, რომლებმაც ასპარეზობის ორგანიზატორთა წამახალისებელი სიგელი დაიმსახურეს შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობისთვის.

**თ. ბაჩეჩილაძე.**

## [illegible]

### ✦ ფოთი

„ვოდნიკის" სტადიონზე რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა ქალაქის მოსწავლეთა პირველობა მძლეოსნობის სამ სახეობაში: 400 მეტრზე რბენაში, სიგრძეზე ხტომასა და ბირთვის კვრაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თერთმეტივე საშუალო სკოლის ნაკრები გუნდები. I ადგილზე გავიდნენ 1-ლი სკოლის წარმომადგენლები, II — მე-5 სკოლის მძლეოსნები, III — მე-8 სკოლის სპორტსმენები.

**გ. გასილაია.**

### ✦ ცხაკაია

აქ გაიმართა რაიონის კოლმეურნეთა პირველობა ფრენბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ლეძაძმისა და ეკის გუნდები. ჩემპიონობა დაისაკუთრეს ლეძაძმელებმა. აღსანიშნავია, რომ ლეძაძმელი კოლმეურნე გ. მიქაია შეიყვანეს რაიონის ნაკრებ გუნდში, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ფრენბურთელთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში.

**ე. გუგუნავა.**

### ✦ კასპი

სკოლა-ინტერნატის 130 მოსწავლე ინტერესით ჩაება მასობრივ საჭადრაკო ტურნირში. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით (7 ტური) ჩატარდა. I-VI ადგილები გაიყვეს ნ. პაპინაშვილმა, ი. გორგაძემ, დ. ილურიძემ, ბ. მოურაოვმა, ა. კოკაიამ და გ. ჯავრიშვილმა. ჩემპიონატის დამთავრებისას მონაწილენი საექსკურსიოდ გორს გაემგზავრნენ.

**მ. გოგორაძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კიდევ ერთი ათიათასიანი

რ ოგორც ცნობილია, ვანის ფეხბურთელთა გუნდმა „სულორმა“ შარშან თავისი გულშემატკივრები გაახარა: თითქმის მთელი სეზონის მანძილზე არ დაუთმია ლიდერობა, საქართველოს ჩემპიონი გახდა და სსრ კავშირის „ბ“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის თამაშის უფლება მოიპოვა.

ამ წარმატებამ რაიონის მესვეურებს ახალი საზრუნავი გაუჩინა. დებულების თანახმად, „ბ“ კლასში მოასპარეზე გუნდის სტადიონი 10 ათას მაყურებელს მაინც უნდა იტევდეს, ძველი სტადიონი კი 3000-მდე მაყურებელს ძლივს აუდიოდა.

თვეზე მეტია სტადიონის რეკონსტრუქციაზე მუშაობენ ვანის სამშენებლო - შემკეთებელი და საკოლმეურნეობათაშორისო კონტორების კოლექტივები. უკვე ამოყვანილია რკინა-ბეტონის საყრდენები.

ვანის სტადიონი ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთი კეთილმოწყობილი იქნება. აღმოსავლეთის მხარეს იგი ორიარუსიანი, სამხრეთის მხარეს დააყენებენ ელექტრო-ტაბლოსა და საათს. სტადიონს ექნება ადგილობრივი რადიოკვანძიც. სათამაშო მინდვრის ირგვლივ გაკეთდება სარბენი ბილიკები.

წინათ ფეხბურთელები მოკლებული იყვნენ დასვენების პირობებს. ახლა ეს საკითხიც მოგვარდება. აღმოსავლეთ ტრიბუნასთან აიგება ორსართულიანი შენობა, სადაც მოთავსდება გასახდელები, საშხაპე, ფეხბურთელთა დასასვენებელი ოთახი, მსაჯთა ოთახი და სხვ.

— მშენებლობას დიდ ყურადღებას აქცევენ რაიონის ხელმძღვანელები, — გვითხრა სტადიონის დირექტორმა გ. აბრამიძემ. — დიდი ენთუზიაზმით შრომობს რაიონის მოსახლეობა, მოსწავლე ახალგაზრდობა. აქ ხშირად ნახავთ სალხინოს, ისრითის სკოლების, შუამთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეებს. ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ სტადიონი 1970 წლის საფეხბურთო სეზონისთვის გადაეცეს საექსპლოატაციოდ.

ზ. მაისაია.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ვანი.

# იანვრის სესიაზე

მოსწავლეთა ზამთრის არდადეგებზე ბაკურიანში მუდამ ხალხმრავლობაა. წლეულს დამსვენებლებს სპორტსმენებიც მიემატნენ, რომელთაც საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში მოხვედრისთვის და საკავშირო პირველობის საგზურებისთვის უნდა ებრძოლათ. ტურნირში აჭარის, თბილისის, მესტიის, ახალქალაქის, ასპინძისა და ბაკურიანის წარმომადგენლები ჩაებნენ. სტარტზე სულ 120 სამთომოთხილამურე და ტრამპლინიდან მხტომელი გამოვიდა. მონაწილეთა რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა, ახალციხის, ყაზბეგის, დუშეთის, ადიგენის, ბოგდანოვკის, ლენტეხის, ონის, წალკისა და ცაგერის რაიონების სპორტულ სკოლებსაც რომ გამოეგზავნათ თავიანთი აღსაზრდელები. როგორც ჩანს, ამ რაიონებში სამთო სახეობებისა და ტრამპლინიდან ხტომის განვითარების დონე კვლავ დაბალია.

და მაინც, შეჯიბრების ჩამტარებლები ვაჟთა ტურნირის შედეგებით უკმაყოფილონი არ არიან (გოგონებზე ამას ვერ ვიტყვით). იყო დრო, როცა ბაკურიანის გუნდი მეტოქეებს ამკარად სჯობდა. ამჯერად კი მასპინძლები მხოლოდ ტრამპლინიდან ხტომაში იყვნენ ფავორიტები, — სხვა სახეობებში მათ ძლიერი მეტოქეობა გაუწიეს თბილისელმა და მესტიელმა ჭაბუკებმა, რომლებმაც რამდენიმე გამარჯვებაც მოიპოვეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისელი მოსწავლის ა. ურუშაძის წარმატება. მან მოიგო როგორც გიგანტური, ისე სპეციალური სლალომი უმცროსი ასაკის ჯგუფში. ამასთან, გიგანტურ სლალომში უფროსი ასაკის სპორტსმენებსაც აჯობა.

სწრაფდაშვებაში შეჯიბრება მხოლოდ უფროსი ასაკის ჭაბუკებისთვის ჩატარდა, მაგრამ მსაჯთა კოლეგიამ ურუშაძესაც დართო ასპარეზობის ნება და არც შემცდარა: თბილისელმა მოსწავლემ V ადგილი მოიპოვა.

კარგად გამოვიდნენ მესტიელი სამთომოთხილამურეები. ამ რაიონის ჭაბუკებმა 7 საპრიზო ადგილი დაიკავეს, გოგონებიდან კი ერთადერთი სწორედ მესტიელი ზაირა რატიანი იყო, ვინც ყველა სახეობაში დაამთავრა შეჯიბრება. სწრაფდაშვებაში მან 1.01,0 აჩვენა, სპეციალურ სლალომში — 1.42,4 (1.01,0+41,4), გიგანტურ სლალომში — 1.40,1.

ტრამპლინიდან ხტომაში რამდენიმე ნიჭიერი ჭაბუკი გამოჩნდა. უმცროსი ასაკის ჯგუფიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ვ. მიქაბერიძე და ფ. ქუმარიტაშვილი, უფროსი ასაკის ჯგუფიდან — ზ. დვალი, ა. დუდაევი, გ. მიქაბერიძე (ყველა — ბაკურიანი), რომელთაც, კარგი და სტაბილური ნახტომების გარდა, სტილიც დამაკმაყოფილებელი აქვთ. რა თქმა უნდა, სტილის სრულყოფისთვის მათ კიდევ ბევრი შრომა მართებთ და საამისოდ პირობებიც ხელს უწყობთ.

სამწუხაროდ, ამ სახეობაში ხუთეულში სხვა გუნდების ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ მოხვდა. ეს ნიშნავს, რომ ტრამპლინიდან ხტომას სხვაგან სათანადო ყურადღება არ ეთმობა.

ხტომაში შეჯიბრება 35-მეტრიან ტრამპლინზე გაიმართა. უმცროსი ასაკის ჯგუფში გამარჯვებული ვ. მიქაბერიძე 23 და 23,5 მეტრზე გადახტა და 212,9 ქულა დაიმსახურა. II ადგილზეა ფ. ქუმარიტაშვილი — 202,7 ქულა (22 და 22,5 მ), III — დ. ბაკაევი—197,4 (20,5 და 23,5 მ).

უფროსი ასაკის მოსწავლეთა შორის საუკეთესო გახლდათ ზ. დვალი, რომელიც ყველაზე შორსაც გადახტა (23,5 და 24,5 მ) და ყველაზე მეტი ქულაც მოაგროვა — 216,6. ა. დუდაევი მას ნახტომების სიგრძეთა ჯამში ნახევარი მეტრით ჩამორჩა, თანაც სტილში მეტი შეცდომა დაუშვა, ამიტომ 204,3 ქულა მიიღო და II ადგილს დასჯერდა. გ. მიქაბერიძე ორივეჯერ 23 მეტრზე გადახტა და 199 ქულით III ადგილი დაიკავა.

უფროსი ასაკის ჭაბუკებმა დაძაბული ბრძოლა გამართეს სწრაფდაშვებასა და გიგანტურ სლალომში. გიგანტურ სლალომში (სიგრძე 900 მ, 35 კარი) ა. ნავერიანმა (მესტია) და გ. ოგანეზოვმა (ბაკურიანი) ზუსტად ერთნაირი დრო (1.17,5) აჩვენეს და I-II ადგილები გაიყვეს. III ადგილზეა ს. ვართანიანი (ბაკურიანი) — 1.23,0.

მსაჯთა კოლეგიამ გიგანტურ სლალომში საასპარეზოდ ცალკე ჯგუფად დაუშვა 9-11 წლის ბიჭები. მათთვის ტრასა 100 მეტრით შეამცირეს. ყველას აჯობა ვ. ჯიჩოევმა (ბაკურიანი) — 1.37,5. მომდევნო ადგილები მესტიელებმა თემურ (1.40,6) და თამაზ (1.41,4) ჯაფარიძეებმა მოიპოვეს.

სწრაფდაშვებაში იმავე ოგანეზოვმა და ვართანიანმა III-IV ადგილები გაიყვეს — 1200-მეტრიან ტრასაზე განლაგებული 12 კარის გავლას ორივემ 42,8 წამი მოანდომა. პირველობა მოიგო გ. ღარიბაშვილმა (მესტია) — 41,5, II ადგილზეა ა. ნავერიანი — 41,9.

სხვა ტექნიკური შედეგები ასეთია: ჭაბუკები. უმცროსი ასაკი. გიგანტური სლალომი (იგივე ტრასა). ა. ურუშაძე — 1.17,3, დ. ამირშადოვი — 1.39,5, ბ. დიაკონაშვილი (ორივე — ბაკურიანი) — 2.38,1; სპეციალური სლალომი. ურუშაძე — 59,2 (26,4+32,8), ე. ამირშადოვი (ბაკურიანი) — 1.02,6 (26,7+35,9). სხვებმა ტრასა ვერ დაამთავრეს. უფროსი ასაკი. სპეციალური სლალომი. ა. ნავერიანი — 50,3 (25,3+25,0), გ. ოგანეზოვი 54,0 (25,8+28,2), გ. ღარიბაშვილი — 54,7 (25,4+29,3).

ვ. მიქაბერიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი.

## სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი




# უპრეცედენტო შემთხვევა და გაქარწყლებული შთაბეჭდილება

გუშინწინ მოსკოვში გაიმართა ერთი გამოტოვებული მატჩი. ადგილობრივი გუნდების — „დინამოსა“ და ცსკა-ს შეხვედრამ კალათბურთის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. საქმე ისაა, რომ არმიელებს გამარჯვების შემთხვევაში საშუალება ეძლეოდათ ერთპიროვნული ლიდერები გამხდარიყვნენ და ამით დროებით მაინც დაემხოთ „სტროიტელის“ ხანგრძლივი ჰეგემონია.

სსრ კავშირის ჩემპიონისთვის გამარჯვებას მეორე, ეგრეთ წოდებული მორალური ღირებულებაც ჰქონდა. ალბათ ყველას ახსოვს, რომ ორიოდე წლის წინ ცსკა-ს დამარცხება საგანგებო მნიშვნელობის ამბავი იყო და იგი ყველას გულწრფელად აკვირვებდა. ახლა ცსკა-ს ნელ-ნელა შეაჩვიეს ხელი მეტოქეებმა და გუნდმაც ერთგვარად დაკარგა საკუთარი ძალის რწმენა.

გადახედეთ მოსკოველთა განვლილ მატჩებს: ჩემპიონმა გამანადგურებელი მარცხი იწვნია „სტროიტელთან“ (13 ქულით), დიდი გაჭირვებით სძლია თბილისის „დინამოსა“ და კიევის არმიელებს (თითო ქულით).

ამავე დროს თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წინ კიდევ ორი წრეა, საფუძველს მოკლებული არ უნდა გვეჩვენოს მტკიცება, რომ ცსკა აღარაა ძველი ცსკა. ასეთი აზრი სპეციალისტთა შორის უკვე არსებობს.

„დინამო“? იგი, ჩვენი ღრმა რწმენით, დღესაც საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთ ყველაზე თავისებურ, თუ გნებავთ, უცნაურ გუნდად რჩება. მოსკოველებს შეუძლიათ დათრგუნონ ჩემპიონები, ვიცე-ჩემპიონები, ნებისმიერი ლიდერი, მაგრამ ასევე შეუძლიათ წააგონ აუტსაიდერთან. მართლაც, პირველ წრეში დინამოელებმა დაამარცხეს ცსკა, „სტროიტელი“, თბილისის თანაკლუბელები, „კალევი“, მაგრამ მათ, ამავე დროს, ქულა დაუთმეს, მაგალითად, ალმაათელებს.

მოსკოვის „დინამოს“ უცნაურობას ისიც ამტკიცებს, რომ „გატანილი“ ქულების მიხედვით იგი I ადგილზეა. სამაგიეროდ, მიღებულიც ყველაზე მეტი აქვს სვერდლოვსკის „ურალმაშის“ შემდეგ. მოსკოველთა თავდასხმა ყოველ მატჩში საშუალოდ 86 ქულას აგროვებს. ეს უდავოდ სარეკორდო შედეგია. მაგრამ სარეკორდოა ის 80 ქულაც, რასაც გუნდი ყოველ შეხვედრაში საშუალოდ „ურიგებს“ თავის მეტოქეებს.

ორიოდე სიტყვა შეხვედრის მსვლელობაზე. უპირატესობა ორივე ტაიმში დინამოელთა მხარეს იყო. შესვენებამდე ჩემპიონი 12 ქულასაც კი აგებდა (ტაიმი დამთავრდა „დინამოს“ გამარჯვებით — 40:38). ასეთივე მდგომარეობაში იყო იგი შესვენების შემდეგაც. მატჩის დამთავრებამდე 23 წამით ადრე, როცა დინამოელები წინ იყვნენ ანგარიშით 86:80, არმიელებმა ხელთ იგდეს ბურთი, მაგრამ მაშინვე დაკარგეს. ეს შედეგი ბოლომდე უცვლელი დარჩა.

სამწუხაროდ, საინტერესო და დაძაბული შეხვედრის შთაბეჭდილება გააქარწყლა უპრეცედენტო შემთხვევამ: არმიელმა კოვირკინმა და დინამოელმა ნიკიტინმა სრულიად უმიზეზოდ, უამრავი მაყურებლის თვალწინ, ჩხუბი ატეხეს და მუშტები დასცხეს ერთმანეთს. მთავარ მსაჯთა კოლეგიამ ორივე კალათბურთელს დისკვალიფიკაცია მისცა 3 თამაშით და პირობით — ჩემპიონატის დამთავრებამდე.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 იანვრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სტროიტელი“ (კიევი) | 11 | 9 | 2 | 925—794 | 9 |
| ცსკა | 11 | 9 | 2 | 912—798 | 9 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 11 | 7 | 4 | 852—787 | 7 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 10 | 7 | 3 | 767—737 | 7 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 11 | 7 | 4 | 946—890 | 7 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 10 | 6 | 4 | 780—792 | 6 |
| ასკ (კიევი) | 11 | 5 | 6 | 805—768 | 5 |
| „დინამო“ (თბილისი) | 9 | 4 | 5 | 627—684 | 4 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 10 | 3 | 7 | 736—834 | 3 |
| „ლოკომოტივი“ (ალმა-ათა) | 10 | 3 | 7 | 756—840 | 3 |
| ასკ (რიგა) | 11 | 2 | 9 | 802—882 | 2 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 11 | 1 | 10 | 830—937 | 1 |

# ენერგიული თამაშით

რუსთავის XXI საჭადრაკო ჩემპიონატში 13 კაცი მონაწილეობდა. ენერგიული თამაშით ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა მეტალურგიული ქარხნის მილსაადიდვო საამქროს თერმისტმა, ოსტატობის კანდიდატმა დ. ბიბილაშვილმა. ახალმა ჩემპიონმა 10 პარტია მოიგო და ორი ყაიმით დაამთავრა.

II ადგილზე გავიდა კომუნალური მეურნეობის სამინისტროს რუსთავის სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს უბნის უფროსი, ინჟინერი ო. დოლიძე — 9,5, III — ქიმიური კომბინატის თანამშრომელი თ. ფერაძე — 8,5.

პირველობის საზეიმო დახურვაზე დიდი ინტერესი გამოიწვია ელვისებური თამაშის ტურნირმა. აქ I-II ადგილები გაიყვეს გ. ბიბილაშვილმა და პირველთანრიგოსანმა გ. ძინძიბაძემ. დამატებით მატჩში იმარჯვა ძინძიბაძემ — 3:2.

რ. გაბრიჭიძე.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.



სურათზე: ჩემპიონატის მომენტი. მარცხნივ პირველი — გ. ბიბილაშვილი.

ფოტო ა. ეკტორიანი.

# ყოველი მხრიდან

### ყველაზე ახალგაზრდა რეკორდსმენი

პატარა კიოლნელ (გფრ) ბიჭს ანდრე აუჰს ჯერ წელიც არ შესრულებოდა, რომ ცურვაში მსოფლიო რეკორდსმენი გახდა. მან თავის თანატოლებში ყველას აჯობა — 8 წუთსა და 45 წამს გაძლო წყალზე უფროსების დაუხმარებლად.

ამ ქალაქში შექმნილია სამეცნიერო ექსპერიმენტული სექცია, რომლის მუშაობის მიზანიც ის არის, რომ დაადგინონ მინიმალური შესაფერი ასაკი ცურვაში მეცადინეობის დაწყებისთვის. ამ სექციაში გაერთიანებულია 50 ბავშვი, რომელთა ასაკიც 7 კვირიდან ერთ წლამდე აღწევს, ამასთან, სპეციალურ სემინარს ჩვილი ბავშვების ცურვის მეთოდიკასა და დიდაქტიკაში გადიან მშობლებიც. (სხვათა შორის, ამ სექციაში იღებენ მხოლოდ იმ ბავშვებს, რომელთაც, მეცნიერებისა და მწვრთნელების აზრით, თანდაყოლილი საცურაო რეფლექსები აქვთ).

### ამერიკული სპორტის სამი სატკივარი

1969 წლის 31 დეკემბერს დამთავრდა კიდევ ერთი ათწლეული. მაგრამ, როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს: „ამერიკული სპორტის სამი სატკივარი, სამი საბედისწერო წყლული — გამორჩენის წყურვილი, კორუპცია და რასიზმი ისევ ძალაში რჩება“.

ამერიკის შეერთებული შტატების სპორტი ისეა გაჟღენთილი ვაჭრული სულისკვეთებით, რომ, „ნიუ-იორკ ტაიმსის“ სიტყვებით, კომერციული ტერმინოლოგია მასთან დაკავშირებით ჩვეულებრივ ამბად იქცა: „ლაპარაკია საქონელსა და მომსახურებაზე, კლიენტურისთვის ბრძოლაზე და ა. შ. სპორტულ გუნდებს ყიდიან და ყიდულობენ, როგორც ჩვეულებრივ ნივთებს. ბევრი მათგანი კოლექტიური კაპიტალისტური საკუთრებაა, ზოგიერთის აქციები შესაბამისად იზრდება ან ეცემა ბირჟაზე“.

ათასგვარმა უკანონო ოპერაციებმა არნახული მასშტაბი მიიღო. მათმა საქონელბრუნვამ დაახლოებით 50 მილიარდი დოლარი შეადგინა. ეს ათჯერ მეტია იმ თანხაზე, რომელიც ოფიციალურ სპორტულ ტოტალიზატორებში თამაშდება. სპეკულაციამ და ჟაღლითობამ სპორტში უკიდეურეს საზღვარს მიაღწია. ამ ათწლეულში გამოაშკარავდა რამდენიმე დიდი სკანდალი საუნივერსიტეტო სპორტში. მხილებულია 1964 წლის ოლიმპიურ თამაშებში აშშ-ს ოლიმპიური გუნდის ეკიპირების ოპერაცია. კორუპციამ სპორტულ საქმოსნებს შორის ისეთ ზომებს მიაღწია, რომ გამოძიების ფედერალური ბიუროს ერთ-ერთმა ყოფილმა გავლენიანმა მოხელემ ჯ. ბრენენმა სპეციალური დეტექტური სპორტული სააგენტოს დაარსების წინადადებაც კი წამოაყენა.

რასიზმზე სპორტში ძალზე ბევრი რამ დაწერილა. გავიხსენოთ თუნდაც შარშანდელი ამბავი, როცა გამოირკვა, რომ ქალაქ სიეთლის ფეხბურთელთა გუნდში მწვრთნელი ზანგ მოთამაშეებს სცემდა. ამას დაუმატეთ უამრავი შემთხვევა, როცა შავკანიან ათლეტებს სდევნიდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში დისკრიმინაციის პოლიტიკის წინააღმდეგ გალაშქრებისთვის.

განვლილმა ათწლეულმა ამერიკის სპორტში სააშკარაოზე გამოიტანა ყველა წყლული, რაც მოურჩენელია კაპიტალისტური სისტემის პირობებში. ამერიკის სპორტულ ჟურნალისტებს მიაჩნიათ, რომ ამ მხრივ არც ახალი ათწლეული მოიტანს რამე სასიკეთოს.

## ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატებისთვის

# ფრანგები ისევ ლიდერობენ

სამთოსათხილამურო სპორტში მსოფლიო თასის მაძიებელთა მორიგი ტური ობერშაუფენსა და ჰინდელანგში გაიმართა. მომავალი მსოფლიო პირველობის ფავორიტები აქაც უძლიერესნი იყვნენ.

ობერშაუფენში ქალები სპეციალურ და გიგანტურ სლალომში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. სპეციალურ სლალომში პირველი ცდის მერე ფრანგი მირი დაწინაურდა. კეტერი (აშშ) მასთან 0,1 წამს აგებდა. მომდევნო ადგილებზე იყვნენ კლიფერდი (კანადა) და ჟაკო (საფრანგეთი), მაგრამ მეორე ცდამ ადგილების განაწილებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა. პირველობა კეტერს დარჩა. II ადგილზე გავიდა მირი, III — ჟაკო.

სამაგიეროდ, ჟაკო უძლიერესი გახლდათ გიგანტურ სლალომში. აქ კეტერი საუკეთესოთა ექვსეულშიც კი ვერ მოხვდა. II ადგილი წილად ხვდა მაკის (საფრანგეთი), III — კოჰნარს (აშშ). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ავსტრიელები: ბუჯი, ბროელი და გაბლი.

ვაჟები ჰინდელანგში მარტო სპეციალურ სლალომში ცდიდნენ ძალას. აქ ფრანგების უპირატესობა აშკარა იყო და სამივე საპრიზო ადგილიც მათ (რუსელი, ოჟე, დიუვილარი) დაიკავეს. ამერიკელი კიდი IV ადგილზეა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ისევ ფრანგები ლიდერობენ. სპეციალისტები უკვე ასკვნიან, რომ ამ ქვეყნის მოთხილამურე ვაჟებს შეუძლიათ მსოფლიო ჩემპიონატში ჟ.-კ. კილის ოლიმპიური წარმატება გაიმეორონ.

ვნახოთ!

# მარათონელის მეორე დრო

გფრ-ის მოთხილამურეებმა შინ დაამთავრეს მზადება და საერთაშორისო სარბიელზე გავიდნენ. ისინი წარმატებით მონაწილეობდნენ პოლონეთში გამართულ ზამთრის ორჭიდელთა ტურნირში: კიოლერმა და ვინკლერმა I და II ადგილები დაისაკუთრეს.

რაც შეეხებათ ფინელ ვაჟებს, ისინი საკუთარ კედლებს ჯერ კიდევ არ შორდებიან, შინ კი საკმაოდ მაღალ შედეგებს აჩვენებენ. ასე იყო ლეჰტიმიაკში, სადაც ფინეთის მუშათა სპორტული კავშირის უძლიერეს სპორტსმენთა შეჯიბრება გაიმართა. 15 კმ-ზე რბენაში საუკეთესო შედეგით (44.33,0) გაიმარჯვა რ. ლეჰტინენმა. ქვეყნის საუკეთესო მარათონელი ტ. ჰატუნენი II ადგილს დასჯერდა — 45.02,0.



# ჰამრინი კვლავ თამაშობს

„მილანში" შარშანდელი ტრიუმფის შემდეგ ჰამრინს კლუბის ხელმძღვანელობასთან გაუფუჭდა ურთიერთობა. თამაში თამაშს მისდევდა და გამოჩენილი შვედი ფეხბურთელი სათადარიგო შემადგენლობას სჯერდებოდა. ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ შედიოდა გამოჩენილი ფეხბურთელის გეგმაში, მით უმეტეს, რომ მას არაერთი მოწვევა მოსდიოდა როგორც იტალიის სხვადასხვა კლუბიდან, ისე უცხოეთიდანაც.

ახლა ხანგრძლივი მოლაპარაკება დამთავრდა. ჰამრინმა ხელი მოაწერა ახალ ხელშეკრულებას „ნაპოლისთან". შვედი ვეტერანი ვერ ელევა ფეხბურთს.

• •

# ასე გააცილეს კოენი

ცნობილმა ინგლისელმა მცველმა კოენმა 1966 წელს თავის გუნდთან ერთად ოქროს ქალღმერთი მოიპოვა. შემდეგ მას მუხლის მძიმე დაშავების გამო ორი ოპერაციის გადატანა მოუხდა და მინდორზე ველარ დაბრუნდა.

კოენის საბენეფისო მატჩს 18 ათასი მაყურებელი დაესწრო. ერთმანეთს შეხვდნენ ინგლისის 1966 წლის ნაკრები და ახალგაზრდა ვარსკვლავთაგან შედგენილი გუნდი. ანგარიშით 10:7 (!) გაიმარჯვეს მსოფლიო ჩემპიონებმა.

# „სპორტის" კონკურსის შედეგები

15 იუგოსლაველმა და 13 უცხოელმა ჟურნალისტმა მიიღო მონაწილეობა ბელგრადის „სპორტის" კონკურსში. ჟურნალისტებს უნდა დაესახელებინათ შარშანდელი სეზონის უძლიერესი საფეხბურთო ნაკრები გუნდები ევროპაში.

აი, კონკურსის შედეგები: 1. იტალია, 2. ინგლისი, 3. გფრ, 4. სსრ კავშირი, 5 შვეცია, 6. ჩეხოსლოვაკია.

• •



• •

იტალიური საფეხბურთო კლუბების მწვრთნელებმა კარგად იციან რა მოელით, თუ მათი გუნდი ვერ დაიკავებს შესაფერის ადგილს ეროვნულ ჩემპიონატში. იტალიის ჩემპიონატის პირველი წრე დამთავრებულიც არ იყო, როცა თავიანთი პოსტების დატოვება მოუხდათ „იუვენტუსის" მწვრთნელს კარნილიას და „ბრეშიის" მწვრთნელს სილვესტრის.

რაც შეეხება მ. სკოპინიოს, იგი თითქოს გარანტირებული იყო ყოველგვარი უსიამოვნებისგან, ვინაიდან მისი კლუბი „კალიარი" (სარდინიის კუნძული), ყველასთვის მოულოდნელად, ლიდერის როლში აღმოჩნდა. მაგრამ მწვრთნელს უმუხთლა მატჩმა აუტსაიდერთან — პალერმოს გუნდთან (სიცილია). მართალია, „პალერმოს" მანამდე ერთადერთი გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული („სამპდორიასთან", წინა ტურში), მაგრამ სენსაციას არავინ ელოდა. მოხდა კი ისე, რომ „კალიარიმ" წააგო „პალერმოსთან" — 0:1.

და აი, აქ სკოპინიოს ნერვებმა უღალატა და უტაქტოდ მოექცა მატჩის არბიტრს. ამას მოყვა საფეხბურთო ლიგის კატეგორიული გადაწყვეტილება. სკოპინიოს სეზონის დასასრულამდე აეკრძალა ყოველგვარი სპორტული საქმიანობა.

ამ სურათზე სკოპინიო სწორედ იმ მომენტშია გადაღებული, როცა მას დისკვალიფიკაციის ამბავი შეატყობინეს.

# პერუელთა გეგმები

როგორც ლიმაში გამოცხადდა, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე პერუს ნაკრები ბევრ საერთაშორისო მატჩს ჩაატარებს.

17 და 21 იანვარს პერუელები თავიანთ მინდორზე ეთამაშებიან ზაგრების „დინამოს", ხოლო 27 და 30 იანვარს — პრაღის „სპარტას", რის შემდეგ გუნდი ევროპაში მიემგზავრება. 1 თებერვალს დანიშნულია მატჩი ბულგარეთის, 4 თებერვალს — რუმინეთის ნაკრებთან, ხოლო 8 თებერვალს — ზაბჟეს „გურნიკთან".

შემდეგ, მარტის განმავლობაში, გაიმართება 4 შეხვედრა მექსიკის ნაკრებთან: 5 და 8 მარტს პერუში, 13 და 17 მარტს — მეხიკოში.

26 მარტს პერუელები მონტევიდეოში ითამაშებენ ურუგვაელთა წინააღმდეგ.

• •

# „გვადალახარა" — ჩემპიონი

მექსიკის ჩემპიონი გახდა „გვადალახარა", რომელმაც 45 ქულა მოაგროვა და 6 ქულით გაუსწრო „ვერაკრუსს". მომდევნო ადგილზეა მექსიკის დედაქალაქის კლუბი „კრუზ აზული".

უკვე კარგა ხანია „გვადალახარას" ასეთი ტრიუმფი არ უზეიმია — ჩემპიონობის გარდა მას მექსიკის თასიც დარჩა.

## მოკლედ

- **რიო-დე-ჟანეირო.** ბრაზილიისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების ხელმძღვანელები შეთანხმდნენ ორი მატჩის გამართვის შესახებ. ეს გუნდები მარტში ორჯერ ითამაშებენ რიო-დე-ჟანეიროსა და სან-პაულუში.
- **ბუდაპეშტი.** 1969 წლის № 1 ფეხბურთელად უნგრეთში აღიარებულია 25 წლის ბენე, რომელმაც 33 შესაძლებლიდან 30 ხმა მიიღო.
- **ბორდო.** დანიის ჩემპიონატის № 1 სნაიპერი იენსენი ამიერიდან ბორდოს „ჟირონდაში" ითამაშებს.
- **ლონდონი.** ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ მითითება მისცა მსაჯებს ყოველგვარი კრიტიკისთვის მინდორი დაატოვებინონ მოთამაშეებს.
- **სტოკჰოლმი.** შვეციის № 1 ფეხბურთელად აღიარებულია კინდვალი, რომელიც ახლა როტერდამის „ფეიენოორდის" თავდამსხმელია.
- **რიო-დე-ჟანეირო.** ბრაზილიის ფოსტის სამინისტრომ პელეს პატივსაცემად გამოსცა საფოსტო მარკა (2 მილიონი ეგზ.), რომელზეც აღნიშნულია „პელე — 1000 გოლი".

# ფიშერი უარს ამბობს

**რ. ფიშერმა უარი თქვა აშშ-ს 1969 წლის ჩემპიონატში მონაწილეობაზე, რომელიც მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირიც იყო. უარის მიზეზი ამერიკელმა დიდოსტატმა ფედერაციისადმი გაგზავნილ წერილში განმარტა. გთავაზობთ ამ წერილის მთლიან ტექსტს.**

## მხიარული ფანქრით



უსიტყვოდ.

ნახ. გ. კაკაბაძისა.

*„1969 წლის 29 ოქტომბერი.*

*ბ-ნ ედმონდსონს, აშშ-ს ჭადრაკის ფედერაციას.*

*ძვირფასო ედ!*

*გმადლობთ, რომ მკითხეთ, ვითამაშებ თუ არა აშშ-ს 1969 წლის ჩემპიონატში. ჩემი იმედი ნუ გექნებათ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით, რათა ერთი ფაქტი დავაზუსტო. „ჩესს ლაიფის" ერთ-ერთ ნომერში ამტკიცებდნენ, რომ მე არ ვუპასუხე აშშ-ს 1969 წლის ჩემპიონატში მიწვევას. თქვენ იცით, ედ, რომ ეს ცილისწამებაა. მე ამ მიწვევას ჩემპიონატამდე ერთი თვით ადრე გავეცი პასუხი და წერილობით შეგატყობინეთ, რომ არ ვითამაშებდი. მიზეზი, რომლის გამოც არ ვითამაშე მაშინ და არც ახლა ვითამაშებ, ისაა, რომ ტურნირი მეტად მოკლეა. მე მიმაჩნია, რომ ტურნირში 22 პარტია უნდა გათამაშდეს — როგორც ეს ხდება სსრ კავშირში, უნგრეთში, რუმინეთში და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, სადაც ჭადრაკს სერიოზულად ეკიდებიან. და არა 11 ტური, როგორც აშშ-ს ამჟამინდელ ჩემპიონატშია დაწესებული. როგორც თქვენ იცით, ედ, წლევანდელი ჩემპიონატი ზონალური ტურნირიცაა — პირველი ნაბიჯია მსოფლიო ჩემპიონატის გზაზე. ამ შეჯიბრებაზე უარის თქმით მე ვკარგავ არა მარტო აშშ-ს ჩემპიონის სახელის დაბრუნების შესაძლებლობას, რომელიც რვაჯერ მოვიპოვე (ყოველთვის, როცა კი ვითამაშე). რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, მე ვკარგავ შესაძლებლობას მსოფლიოს ოფიციალური ჩემპიონი გავხდე 1972 წელს, როცა გაიმართება უძლიერესთა მატჩი მსოფლიო პირველობაზე. ამრიგად, შემდეგი შემთხვევა მხოლოდ 1975 წელს მომეცემა.*

*ძალიან მინდა ვითამაშო აშშ-ს ტურნირში, მაგრამ არა იმ ტურნირში, სადაც მონაწილე, თუ ცუდი სტარტი აქვს ან შეჯიბრების დასაწყისში ორი პარტია წააგო, პრაქტიკულად ჰკარგავს I ადგილს. ეს მე უფრო ლატარიას მომაგონებს, რომელიც ფავორიტს ზედმეტ ტვირთს ჰკიდებს. ტურნირის სიმოკლის გამო მოჭადრაკეს არა აქვს დრო ცუდი სტარტი გამოასწოროს. ჩვენი, ამერიკული ჩემპიონატი ყველაზე მოკლეა, რომელიც კი დიდ საჭადრაკო ქვეყნებში ტარდება. ეს ეწინააღმდეგება ისეთი პროფესიონალი მოჭადრაკის ინტერესებს, როგორიც მე გახლავართ.*

*ამერიკის შეერთებული შტატები, ალბათ, მრავალი წლით ჰკარგავს ჭადრაკში თავის მსოფლიო ჩემპიონს იმის გამო, რომ მე უარს ვამბობ შეჯიბრებაში მონაწილეობაზე. მე თქვენ ამერიკის ჭადრაკის პროგრესის ერთგულ ადამიანად მიმაჩნიხართ. და აი, გეძლევათ შანსი დაამტკიცოთ ეს: გააგრძელეთ 1969 წლის 30 ნოემბერს დაწყებული ჩემპიონატი 11-დან 22 ტურამდე.*

*გულწრფელად, თქვენი*
*ბობი ფიშერი".*

რედაქტორი მ. კაკაბაძე.


19-29 იანვარს

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩატარდება საშუალო სპეციალური სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის ხელმძღვანელებისა და მასწავლებლების ათდღიანი რესპუბლიკური კურს-სემინარი.

სემინარზე ჩამოსულთა რეგისტრაცია იწარმოებს შესაბამის სამინისტროებში 19 იანვარს 12 საათამდე. მეცადინეობა დაიწყება იმავე დღეს 14 საათზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო.



თბილისის სპორტის სასახლე



კალათბურთი

სსრ კავშირის პირველობა „ა" კლასის ვაჟთა გუნდებს შორის

16 იანვარი

„დინამო" (თბილისი) — „ბურევესტნიკი" (თბილისი).

დასაწყისი 20 ს.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.


ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 03113